მედიის განვითარების ფონდის ყოველკვირეული გამოცემა

MDF
მედიის განვითარების ფონდი

# ბიულეტენი №8

27. 05 –02.06.2013




მონიტორინგი

## კვირის მთავარი მიგნებები

27 მაისი-2ივნისის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- კვირის მთავარი თემა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში ადგილობრივი მუსლიმებისთვის ლოცვის უფლების შეზღუდვის ფაქტი იყო, რომელიც სატელევიზიო მედიამ ფრაგმენტულად და არასიღრმისეულად გააშუქა. “ქრონიკამ” (იმედი) და “ახალი 9-ზე” (მე-9 არხი) მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 და მე-13 მუხლები (სანდოობა და სიზუსტე), ასევე მე-18 (2) მუხლი (მიუკერძოებლობა) დაარღვიეს. ერთადერთი ტელეკომპანია, რომელმაც ინციდენტში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის კანონსაწინააღმდეგო ქმედება გააშუქა, რუსთავი 2 იყო;
- სიძულვილის ენას როგორც რესპონდენტის (ლუკა კურტანიძის, პოლიციის აკადემიის პრორექტორი), ასევე ჟურნალისტის (გაზეთი “ალია”) მხრიდან ნაციონალური მოძრაობის მიმართ ჰქონდა ადგილი. სიძულვილის ენა ასევე გამოხატული იყო სექსუალურ უმც-

გაგრძელება გვ. 2

ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია **MDF** და ის შესაძლოა, არ ასახავდეს **USAID**-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

## სამთაწყაროს ინციდენტი

კვირისი თემა

გასული კვირის მთავარი თემა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში ადგილობრივი მუსლიმებისთვის ლოცვის უფლების შეზღუდვის ფაქტი იყო, რომელიც სატელევიზიო მედიამ ფრაგმენტულად და არასიღრმისეულად გააშუქა. იმედის შემთხვევაში - ფაქტების არასწორ გადმოცემას, ხოლო მე-9 არხის შემთხვევაში სპეკულაციურ შეფასებებს ჰქონდა ადგილი. ორივე ტელეკომპანიამ დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 და მე-13 მუხლები, რაც მაუწყებლებს აუდიტორიისთვის სანდო და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას ავალდებულებს. ასევე მე-18 (2) მუხლი, რომლის თანახმად, *“პროგრამა ან სიუჟეტი მიკერძოებული იქნება, თუ ის არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, აგებულია უმნიშვნელო ფაქტებზე, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად შეჰყავს აუდიტორია შეცდომაში, შენიღბული სახით გამოხატავს მიკერძოებული პირის მოსაზრებებს.”*

ერთადერთი ტელეკომპანია, რომელმაც ინციდენტის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის კანონსაწინააღმდეგო ქმედება გადმოსცა, რუსთავი 2 იყო. აღნიშნული გარემოება არც გაზეთ “რეზონანსში” გამოქვეყნებულ ინფორმაციაში იყო აღნიშნული, რომელიც სააგენტო “ივერონის” მასალას წარმოადგენდა.

გაგრძელება გვ. 2

მთავარი თემები



| | |
|---|---|
| სიძულვილის ენა | 4 |
| რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია | 4 |
| სექსუალური უმცირესობები | 6 |
| საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება | 9 |
| ანტიდასავლური განწყობები | 12 |



unag
საქართველოს გაეროს ასოციაცია
USAID
ამერიკელი ხალხისგან
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო




## სამთაწყაროს ინციდენტი

[იმედი, ქრონიკა, 31 მაისი]

დასაწყისი გვ.1

“ქრონიკის” სიუჟეტში, სამთაწყაროს მოსახლეობის ინფორმაციის საფუძველზე, აქცენტი გადატანილია არა ლოცვის უფლებაზე, რაც რეალური დაპირისპირების საგანია, არამედ მეჩეთის მშენებლობაზე, რითაც საკითხის არსის არასწორად გადმოცემა ხდება. სიუჟეტში მოყვანილია ორი ადგილობრივის სინქრონი მეჩეთის აშენების მიუღებლობაზე. ჟურნალისტი ნუცა ქავთარაძე ასევე ციტირებს ადგილობრივებს: *“ილოცეთ სახლებში, აქ მეჩეთს ვერ ააშენებთ”* და ახდენს არასწორ განზოგადებას - *“ადგილობრივები მეჩეთის მშენებლობას აპროტესტებენ”*. ჟურნალისტს არ უცდია, გაერკვია ადგილობრივთა ამ პრეტენზიის რეალური არსი, რადგან რეალურად მეჩეთის მშენებლობა კი არ არის სადავო, არამედ მუსლიმთა სამლოცველოს მიერ შეძენილ კერძო შენობაში კონსტიტუციით გარანტირებული ლოცვის უფლების რეალიზაცია. საქართველოს მოქალაქეები ინდივიდუალურ სახლებში ილოცებენ, თუ რომელიმე იურიდიული თუ კერძო პირის საკუთრებაში, ეს არ არის საჯარო მსჯელობის საგანი. ტელეკომპანიამ დაარღვია ქცევის კოდექსის მე-12 და 13 მუხლები, რაც მაუწყებელს ავალდებულებს, აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს; ასევე მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ახალი ამბების გადაცემების მიუკერძოებლოებისთვის დადგენილ წესს განსაზღვრავს.

სიუჟეტში ბალანსიც ფორმალურად არის დაცული და არ არის წარმოდგენილი იმ ადგილობრივი მუსლიმების მოსაზრებები, რომელთაც ლოცვის უფლება ეზღუდებათ. თუ ამ ადამიანებმა უარი განაცხადეს საჯრო კომენტარზე, ჟურნალისტს ესეც უნდა აღენიშნა, რაც იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ადგილობრივი მუსლიმები საჯაროდ თავიანთი პოზიციის გამოხატვას ერიდებიან. სიუჟეტში წარმოდგენილია მხოლოდ მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაიძის და მუსლიმთა მუფტის მოადგილის ადამ შანთაძის პოზიციები, რომლებიც ადგილობრივ თემს არ წარმოადგენენ.

მართალია, სიუჟეტში წარმოდგენილია სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის ბექა მინდიაშვილის პოზიცია იმის შესახებ, რომ კონსტიტუციით გარანტირებული რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფის ვალდებულება აღნიშნულ შემთხვევაში სამართალდამცავ უწყებებს აკისრიათ, მაგრამ ჟურნალისტი ამ კუთხით თემას არ განავრცობს და არც ადგილობრივ პოლიციას მიმართავს საკითხზე კომენტარისთვის. ოფიციალურ პოზიციად წარმოდგენილია მხოლოდ პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას კომენტარი, რომ საჭიროა ორ ჯგუფს შორის დიალოგი, რის საფუძველზეც ჟურნალისტი არასწორ განზოგადებას აკეთებს და სიუჟეტის ბოლოს აცხადებს, რომ ხელისუფლება - დიალოგის, ხოლო სახალხო დამცველის აპარატი რეკომენდაციების მოლოდინშია.

http://www.myvideo.ge/?video_id=2054852; http://www.myvideo.ge/?video_id=2054847

ბიულეტენი №8

[I არხი, მოამბე, 27 მაისი]

“ქრონიკისგან” განსხვავებით, “მოამბე” ზუსტ ინფორმაციას აწვდის მაყურებელს დავის არსზე და მიუხედავად სინქრონში მოსახლეობის მიერ გაჟღერებული პრეტენზიებისა მეჩეთის მშენებლობის შესახებ, როგორც წამყვანი ეკა მიშველძე, ასევე ჟურნალისტი ქეთი ბერაია მკაფიოდ აღნიშნავენ, რომ ინციდენტი მუსლიმთა ლოცვის ჩაშლას და სოფელში სამლოცველოს ამოქმედების მიზანშეუწონლობას ეხება. სიუჟეტში აღნიშნულია, რომ საქმე ეხება მიტოვებული სახლის შეძენას, რომელშიც ადგილობრივი მუსლიმები ლოცვას აპირებდნენ, ხოლო მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელი სულიკო ხოზრევანიძე უარყოფს მეჩეთის მშენებლობის ფაქტს და განმარტავს, რომ არსებული შენობის რეკონსტრუირება და მუსულმანური სიმბოლიკის შეტანა (გუმბათი, მინარეთი) არ იგეგმებოდა.

სიუჟეტში ასევე წარმოდგენილია როგორც ლოცვის მოწინააღმდეგეთა, ასევე მომხრე ადგილობრივი მუსლიმების სინქრონები. თუმცა, ერთ-ერთი ადგილობრივის მკვიდრის კომენტარი - *“ჩვენ წინაპრებს რა ვუთხრათ, იქ რომ ასვენია, რომლებმაც ეს მოგვიტანეს?”* დისკრიმინაციულია განსხვავებული სარწმუნოების საქართველოს მოქალაქეების მიმართ და ამძაფრებს რელიგიურ კონფრონტაციას. ჟურნალისტს შეეძლო, გადმოეცა დაპირისპირების არსი და თავი აერიდებინა ამ მოსაზრების ტირაჟირებისგან, რომელიც არც ინფორმაციულად და არც არსებითად სიუჟეტს არაფერს მატებს.

ამასთანავე, ქრონიკის სიუჟეტის მსგავსად, არც აქ არის გადმოცემული საკითხის სამართლებრივი ასპექტი და არც სახალხო დამცველის ან რომელიმე უფლებადამცველის შეფასებაა გადმოცემული. ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა დისკრიმინაციული პოზიცია მოწოდებულია, როგორც ორ დაპირისპირებულ

## სამთაწყაროს ინციდენტი

მხარეს შორის სიტუაციის მოგვარების მცდელობა. კერძოდ:

გულო ნადირაშვილი, სამთაწყაროს რწმუნებული: *"შევთავაზეთ, თუ მოსახლეობა თანახმა იქნება სამლოცველოსი, ვერავინ დაუშლით... მაგათი მუფტი, ჯემალი ადაძე სოფლის მოსახლეობის დაუკითხავად შევიდა იმ შენობაში და ლოცვის რიტუალის ჩატარება დაიწყო."*

ავთო შაინიძე, საკრებულოს წევრი: *"ხალხი ძალიან აგრესიულია ერთი რამის გულისთვის: ოფიციალურად მეჩეთი არ უნდა დაიდგას, არის ერთი აზრი, ოფიციალურად არ უნდა იყოს."*

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ამგვარი დისკრიმინაციული გამონათქვამები, რომლის თანახმად, უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებების რეალიზება უმრავლესობის ნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული, ჟურნალისტს უკრიტიკოდ არ უნდა დაეტოვებინა და შეკითხვის სახით დაეკონკრეტებინა რესპონდენტებთან, რა სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა საკითხის უმრავლესობის დიქტატით გადაწყვეტას და ასეთ ვითარებაში რომელ ინსტიტუციას ეკისრებოდა უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფა.

ამასთანავე არც საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტში ყოფილა ასახული ის ფაქტი, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად სოფლის რწმუნებულმა გულო ნადირაშვილმა კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა და მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებს გადაადგილების უფლება შეუზღუდა.



გულო ნადირაშვილი, სამთაწყაროს რწმუნებული: *"შევთავაზეთ, თუ მოსახლეობა თანახმა იქნება სამლოცველოსი, ვერავინ დაუშლით... მაგათი მუფტი, ჯემალი ადაძე სოფლის მოსახლეობის დაუკითხავად შევიდა იმ შენობაში და ლოცვის რიტუალის ჩატარება დაიწყო."*

მეცხრე არხი
ეცადე დაინახო მეტი

მე-9, ახალი 9ზე, 30 მაისი

სამთაწყაროს ინციდენტი სრულიად განსხვავებულ კონტექსტში გააშუქა მე-9 არხმა. საინფორმაციო გამოშვების წამყვანი ლევან ჯავახიშვილი სვამს შეკითხვას - *"ვის სჭირდება რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების გამწვავება?"*, ჟურნალისტი თამთა ჯანაძე კი, რესპონდენტებზე დაყრდნობით, ავითარებს აზრს, რომ ეს გარე ძალების ინტერესშია.

სიუჟეტი იწყება ერთ-ერთი ადგილობრივის მიმართვით მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლის ტარიელ ნაკაიძის მიმართ - *"ნუ აპირისპირებთ ხალხს ერთმანეთთან"*, რის საფუძველზეც ჟურნალისტი განზოგადებას ახდენს და აცხადებს, რომ მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებს სოფელში ასე ხვდებიან. "გარე ძალებად" მუსლიმთა სამმართველოს გარდა, რომლის წევრებიც საქართველოს მოქალაქეები არიან და კონსტიტუცია მათ გადაადგილების უფლებას არ უზღუდავს, ჟურნალისტი ექსპერტებზე დაყრდნობით, ხელისუფლების ოპონენტებს ასახელებს.

რამაზ საყვარელიძე, ექსპერტი: *"დღეს არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ ტიპის გამწვავებაში."*

ერთი ექსპერტის ზოგადი, არაკონკრეტული მოსაზრების საფუძველზე, ჟურნალისტი ახდენს დაუსაბუთებელ შეფასებას, რომელიც სრულად თავად რამაზ საყვარელიძის ნათქვამსაც კი არ შეესაბამება:

თამთა ჯანაძე, ჟურნალისტი: *"ექსპერტების აზრით, მდგომარეობის დაძაბვა ხელისუფლების ოპონენტებს იმისთვის სჭირდება, რომ ახალ ხელისუფლებას უუნარობა დაბრალდეს და საერთაშორისო მასშტაბით იმიჯი გაუფუჭდეს."*

მთელი სიუჟეტი სპეკულაციური ხასიათისაა. მართალია, ჟურნალისტი რწმენის თანასწორობაზე კონსტიტუციას ციტირებს, მაგრამ სამართლებრივი კუთხით თემას არ ავითარებს. სიუჟეტში ასევე მოყვანილია ადგილობრივი ხელისუფლების იმ წარმომადგენლის დისკრიმინაციული პოზიცია, რომელსაც თავად მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები ვითარების დაძაბვაში ადანაშაულებენ და რომელიც უმცირესობის რწმენის თავისუფლებას უმრავლესობის ნება-სურვილის კონტექსტში განიხილავს.

გულო ნადირაშვილი, სამთწყაროს რწმუნებული: *"უნდათ [მუსლიმთა სამმართველო] ეს ორი მოსახლეობა დააპირისპირონ ერთმანეთს და გაკეთდეს სამლოცველო მუსულმანური, მაგრამ მოსახლეობის 85% გამოვიდა წინააღმდეგი."*

სიუჟეტში ასევე საუბარია ლოცვის ნებართვაზე ხელმოწერების შეგროვებაზე, რასაც არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ აქვს, თუმცა საკითხი ამ კუთხით არ არის წარმოჩენილი. ინციდენტთან დაკავშირებით სამართალდამცავთა კომენტარი არც "ახალი 9"-ის მიერ მომზადებულ მასალაშია წარმოდგენილი და დასკვნის სახით მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ *"მოსახლეობა პრობლემის მოგვარებას თავად აპირებს."*

იმედის მსგავსად ქცევის კოდექსის მე-12, 13 (სანდოობა და სიზუსტე) და მე-18 (მიუკერძოებლობა) მუხლები მე-9 არხმაც დაარღვია.
http://www.myvideo.ge/?video_id=2055869

## სამთაწყაროს ინციდენტი

რუსთავი 2, კურიერი, 31 მაისი

ერთადერთი ტელეკომპანია, რომელმაც მომხდარი ინციდენტი, სადაც სამთაწყაროს სოფლის რწმუნებულის უკანონო ქმედება იკვეთება, სრულყოფილად გადმოსცა, რუსთავი 2 იყო. კერძოდ, არც ერთ ტელეკომპანიას არც ვიზუალურად, არც რესპონდენტთა კომენტარებით არ გადმოუცია ის ფაქტი, რომ სამთაწყაროში ჩასული მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები სოფელში სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა, სამთაწყაროს რწმუნებულმა გულო ნადირაშვილმა არ შეუშვა, რომელიც ინციდენტის ადგილზე ადგილობრივებთან ერთად იყო მობილიზებული. კურიერის კადრებში ჩანს, როგორ მიმართავს სოფლის რწმუნებული მიკროავტობუსში მყოფ სამუფტოს წარმომადგენელს, რომ *"სოფელი არ არის თანახმა... მიბრძანდით"*, ხოლო თავად ადრესატი ყვება, რომ მათ მიმართ ფიზიკურ ძალადობას და მუქარას ჰქონდა ადგილი.

ამავდროულად სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი ადგილობრივი მუსლიმების, ასევე სამართალდამცავების პოზიცია, რომლებიც, როგორც კადრებიდან ჩანს, მხოლოდ გაშველების ფუნქციას ასრულებდნენ. ინციდენტზე სამართლებრივი რეაგირების აუცილებლობაზე სიუჟეტში მხოლოდ სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი ბექა მინდიაშვილი საუბრობს.
http://www.myvideo.ge/?video_id=2055852

## სიძულვილის ენა

ალია, 30 მაისი

პოლიციის აკადემიის პრორექტორი ლუკა კურტანიძე სიძულვილს აღვივებს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მიმართ, ხოლო პრეზიდენტ სააკაშვილს სომხური გვარით "სააკოვად" მოიხსენიებს. ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი აქცენტს არა სიძულვილის ენის მიუღებლობაზე აკეთებს, არამედ თავად იხსენებს რეპონდენტის ადრინდელ ანალოგიურ გამონათქვამს, სადაც ეს უკანასკნელი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს თაგვივით გატყავებით ემუქრებოდა.



ლუკა კურტანიძე, პოლიციის აკადემიის პრორექტორი: *"მე ვკვირდები ყველა ნიუანსს. მე ხომ საკუთარ თავზე გამოვცადე დიდი ტკივილი? კი, საზოგადოების დამპალ ნაწილს წარმოადგენენ ჩიორა თაქთაქიშვილი, აკო მინაშვილი, გოკა გაბაშვილი და სხვები, ამ ადამიანებმა შექმნეს სისტემა ვინმე სააკოვის მეთაურობით."*

გელა ზედელაშვილი, ჟურნალისტი: *"ე.ი, შენ გადაიფიქრე ამათი გატყავება და ყველაფერი მიანდე სასამართლოს?"*

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

კავკასია, სპექტრი, 31 მაისი

როდესაც "სპექტრის" სტუმარი, ქართულ-რუსული საქველმოქმედო ორგანიზაცია "გროსის" ერთ-ერთი დამფუძნებელი საუბრობს იმ სტერეოპტიპულ აღქმაზე, რომელიც საქართველოზე რუსეთში აქვთ (*"რუსეთში რო გადახედოთ, საქართველო ბევრს ჰგონია რომ მუსულმანური ქვეყანაა"*), საპასუხოდ გადაცემის წამყვანი დავით აქუბარდია, საქართველოს გამუსულმანების პერსპექტივას, როგორც საფრთხეს სახავს.

დავით აქუბარდია, წამყვანი: *"ქარხნები აღარ გვაქვს საქართველოში. ცოდვაა ხალხი. ასე თუ გაგრძელდა 15-20 წელიწადში მუსულმანური ქვეყანა გვექნება. გაიხედე აღმოსავლეთისკენ, ინტენსიურად გადმოდიან და გადმოდიან".*
http://www.myvideo.ge/?video_id=2055888

ალია, 31 მაისი- 3 ივნისი

ფონიჭალაში მეჩეთის მშენებლობას ქვეყნისთვის საფრთხედ განიხილავს ექსპერტი მამუკა არეშიძე.

მამუკა არეშიძე, ექსპერტი: *"მე საერთოდ მეჩეთის აშენების წინააღმდეგი არ ვარ და არც ვიქნები, ეს კონკრეტული მეჩეთი კი შეიცავს საფრთხეებს. საქმე ისაა, რომ საფრთხის მატარებელია ის სავარაუდო დაპირისპირება, რომელიც ადგილობრივ შიიტებსა და ვაჰაბიტებს შორის შეიძლება მოხდეს ჩვენს ტერიტორიაზე. ხვალ თუ ვაჰაბიტებმა ეს ისლამის სახლი აქციეს თავის ფორპოსტად, დღეს იქნება საგანმანათლებლო ცენტრი, ხვალ პოლიტიკური დებატების ადგილი, ზეგ იარაღის შესანახი. ასეთი რამ ჩეჩნეთმა და დაღესტანმა უკვე გაიარა."*

# რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია



ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება: *"ეგ მწვალებელი [მალხაზ სონღულაშვილი] ქართველობაზე რა პირით ლაპარაკობს? მალხაზ სონღულაშვილი ისეთივე ქართველია, როგორც მე - ბურკინაფასოელი!"*

<u>ასავალ-დასავალი, 27 მაისი- 2 ივნისი</u>

სახალხო კრების წარმომადგენელი ელიზბარ ჯაველიძე სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით ახდენს: მართლმადიდებლობის მტრად ნანუაშვილის წარმოჩენა მისი და მისი მეუღლის ბაპტისტობის გამო ხდება. სახალხო დამცველის და მისი მეუღლის რწმენა ინდივიდუალურ სფეროს განეკუთვნება და ვინაიდან თავად უჩა ნანუაშვილს, ასევე მის მეუღლეს მათი რელიგიური კუთვნილების საკითხი არ გაუსაჯაროვებიათ, გარდა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისა, ამ შემთხვევაში ეთიკურ პრობლემასთანაც გვაქვს საქმე .

ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება: *"ამიხსნას ვინმემ, რატომ უნდა ჰყავდეს მართლმადიდებლურ საქართველოს ბაპტისტი სახალხო დამცველი?! ეს უჩა ნანუაშვილი რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მტერია, რა გასაკვირია, როდესაც მისი მეუღლე მაია მამასახლისი მალხაზ სონღულაშვილის ბაპტისტური ეკლესიის მრევლია..."*

ამავე ინტერვიუში ელიზბარ ჯაველიძე ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის წინამძღვარს მალხაზ სონღულაშვილს მწვალებელს უწოდებს და მის ქართველობას ეჭვქვეშ აყენებს.

ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება: *"ეგ მწვალებელი ქართველობაზე რა პირით ლაპარაკობს? მალხაზ სონღულაშვილი ისეთივე ქართველია, როგორც მე - ბურკინაფასოელი!"*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/971/971.pdf

<u>ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 მაისი</u>

ღამის სტუდიის სტუმარი, პატრიოტთა ალიანსის ლიდერი სოსო მანჯავიძე ქართული იდენტობის შენარჩუნებას ქვეყანაში "თურქულის" არდაშვების კონტექსტში განიხილავს.

სოსო მანჯავიძე, პატრიტთა ალიანსი: *"როდესაც აპელირებას ახდენენ იგივე ხალხი, სხვათა შორის, რომ თურმე რელიგიური უმცირესობა იჩაგრება და რომ რელიგიურ უმცირესობათა გამო, ჩვენ აუცილებლად უნდა ავაშენოთ მეჩეთი ბათუმის ცენტრში, სამების ხელა... ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ქალაქები გამოიყურებოდეს ისე, როგორც გამოიყურებოდა ადრე და ავითრებდეს ჩვენს ტრადიციას, რომ ჩვენ ვიყოთ ქართული ქვეყანა და არ დავუშვათ თურქული."*

ამასთანავე რეპონდენტი ავითარებს აზრს, რომ ბათუმში მეჩეთის მშენებლობის თემაზე მათი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის ანალოგიური გამოკითხვა, რომელიც საკითხისადმი უმრავლესობის ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავს, უნდა ჩატარდეს სექსუალურ უმცირესობათა პროპაგანდასთან დაკავშირებითაც. უმცირესობების უფლებების რეალიზაციასთან მიმართებით საკითხის უმრავლესობის ნების მიხედვით გადაწყვეტა დისკრიმინაციული მიდგომაა, რადგან სახელმწიფოს ვალდებულებაა, უმცირესობა დაიცვას უმრავლესობის დიქტატისგან. რესპონდენტი კი ფუნდამენტურად საპირისპირო მოსაზრებას გამოხატავს.

სოსო მანჯავიძე, პატრიტთა ალიანსი: *"თუ დავინახეთ, რომ მოსახლეობის 99 თუ 98 თუ 97 პროცენტი ამის წინააღმდეგია და ვიღაც ორი თუ ერთი პროცენტი თავს გვახვევს ამას, ვინ არის მაშინ ტოტალიტარული ლექსიკის და სიძულვილის ენის მატარებელი, ჩვენ თუ ისინი?"*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12147

<u>ასავალ-დასავალი, 27 მაისი- 2 ივნისი</u>

ცრუ რწმენების გავრცელებას უწყობს ხელს თეა ასათიანის ინტერვიუ მსახიობ დავით გიორგობიანთან, რომელიც პირადობის ელექტრონულ მოწმობებს ანტიქრისტეს მოსვლისთვის სამზადისად მიიჩნევს. ამავე ინტერვიუში რესპონდენტი ანტიამერიკულ განწყობებს აღვივებს და მას უფლის გზის ალტერნატივად წარმოაჩენს.

დავით გიორგობიანი, მსახიობი: *"ზერი პაისის ლოცვით, მონასტრიდან ამერიკელი გაიქცა და ქართველი მივიდა. ეს იმის ნიშანიც არის, რომ ჩვენი ხსნა ამერიკულ ორიენტაციაში კი არა, უფლის გზაზე დადგომაშია. ჩვენ დასავლეთის კი არა, ღვთის შიში უნდა გვქონდეს."*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/971/971.pdf

## სექსუალური უმცირესობები

ალია, 28 მაისი

დაუსაბუთებელ ფაქტებს, სახელდობრ, ბავშვების ხელოვნურად გაჩენასა და მათ ჰომოსექსუალ წყვილებზე გაშვილებას საქართველოს პირველ ლედისთან, სანდრა რულოვსთან აკავშირებს ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარ კანდიდატად ქართული ოცნების სახელით მონაწილეობდა.

> შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი: *"საუბარია ერთ-ერთ კლინიკაზე, არ მინდა ახლა ამ კლინიკის დასახელება, ეს კლინიკა დასაქმებულია იმით, რომ ხელოვნურად გააჩინონ ბავშვები, რომლებიც შემდგომ გაჰყავთ საზღვარგარეთ და იყიდებიან ჰომოსექსუალურ წყვილებზე. ამის დოკუმენტები ფაქტობრივად, თავმოყრილი მაქვს, საქმიდან როგორც ირკვევა, ამ კლინიკასთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა სანდრა რულოვსს. მიმდინარეობს გარკვევა, თუ რამდენად იყო სანდრა რულოვსი ამ საქმეში ჩართული, კერძოდ, ქართველი ბავშვების ჰომოსექსუალურ წყვილებზე გაშვილებით".*

რესპონდენტის მიერ შეთავაზებული ვერსია (*"კლინიკა დასაქმებულია იმით, რომ ხელოვნურად გააჩინონ ბავშვები, რომლებიც შემდგომ გაჰყავთ საზღვარგარეთ და იყიდებიან ჰომოსექსუალურ წყვილებზე. ამ კლინიკასთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა სანდრა რულოვსს"*) ჟურნალისტს სათაურში ისე აქვს გამოტანილი, რომ ფაქტების დაზუსტებასაც არ ცდილობს. ამავე ინტერვიუში რესპონდენტი დაუსაბუთებლად სხვა სპეკულაციასაც ავითარებს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საწინააღმდეგო აქციის ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მიერ დაგეგმვის შესახებ.

ასავალ-დასავალი, 27 მაისი- 2 ივნისი

17 მაისის აქციასთან მიმართებით სპეკულაციურ ვერსიას ავითარებს ასავალ-დასავალის ჟურნალისტი თეა ასათიანი, რომელიც ვარაუდის საფუძველზე აცხადებს, რომ 17 მაისის აქციის ორგანიზატორებს ქაშუეთის ეკლესიაში "პუსი რაიოტის" მსგავსი აქცია ჰქონდათ დაგეგმილი. ამ დასკვნამდე ჟურნალისტი ფოტოს საფუძველზე მიდის, რომელზეც ეკლესიაში სამი ახალგაზრდაა აღბეჭდილი. რედაქციის მტკიცებით, ეს ფოტო სწორედ ქაშუეთის ეკლესიაშია გადაღებული, თუმცა არ არის მითითებული, რა წარმომავლობის ფოტოა, ვინ არიან მასზე აღბეჭდილები და რა კავშირი აქვს ამ ფოტოს "იდენტობის" მიერ დაგეგმილ აქციასთან, რომლის მიზნების შესახებ ორგანიზატორებმა წინასწარ განაცხადეს. პარალელურად ვითარების დრამატიზების მიზნით, სტატიას, რომელშიც თბილისის აქციის ორგანიზატორები შეურაცხმყოფელი ტერმინებით "გარყვნილთა ჯოგად", "ავადმყოფებად", "მუტანტების ხროვად", "პედერასტებად და დედარასტებად" არიან მოხსენიებული ერთვის ფოტო, რომელიც მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში "პუსი რაიოტის" აქციას ასახავს. სტატია, რომელიც სიძულვილის ენით არის გაჯერებული, ასევე შესაძლო სისხლისღვრაზეც საუბრობს, რითაც ვითარების კიდევ უფრო გამძაფრებას ახდენს.

> თეა ასათიანი, ჟურნალისტი: *"არ არის გამორიცხული, რომ ქართველ ლგბტ-ებს სწორედ "პუსი რაიოტის" ილეთის გამეორება ჰქონდათ განზრახული და მადლობა ღმერთს, რომ 17 მაისს რუსთველის გამზირზე დაგეგმილი აქცია ჩაეშალათ, თორემ ეს გარყვნილთა ჯოგი ქაშუეთის ეკლესიაში რომ შევარდნილიყო და იქ ტყლარჭვა-გრეხა დაეწყო, ვერც სასულერო პირები, ვერც პოლიცია ვერაფერს გახდებოდა და უეჭველად სისხლი დაიღვრებოდა...*
>
> *[უფლებდამაცველებს]: ნუ დგამთ ფეხს ამ ავადმყოფების ცოდვაში და ნუ აქეზებთ მკრეხელობისა და გარყვნილებისაკენ, თორემ ის 30 ვერცხლი, თქვენ რო გრანტებს ეძახით, არმად შეგერგებათ, იცოდეთ!..*
>
> *მითუმეტეს დღეს, როცა სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა" პოლიტიკურ ლეშებად იქცნენ, ეს მუტანტების ხროვაღა შერჩათ ერთადერთ დასაყრდენად და ახლა მათ იყენებენ პროვოკაციების მოსაწყობად, საზოგადოებაში შფოთისა და შუღლის შესატანად.*
>
> *დღეს სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა" პედარასტების და დედარასტების იმედადღა არის დარჩენილი."*

http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/971/971.pdf

მაესტრო, სუბიექტური აზრი, 28 მაისი

"სუბიექტურ აზრში" სტუმრობისას ჟურნალისტები თეონა გეგელია და დიანა ტრაპაიძე ოპონირებას უწევენ თავისუფალი საქართველოს ლიდერს კახა კუკავას იმ განცხადების გამო,

ბიულეტენი №8



შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი: *"კლინიკა დასაქმებულია იმით, რომ ხელოვნურად გააჩინონ ბავშვები, რომლებიც შემდგომ გაჰყავთ საზღვარგარეთ და იყიდებიან ჰომოსექსუალურ წყვილებზე. ამ კლინიკასთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა სანდრა რულოვსს".*

## სექსუალური უმცირესობები

თითქოსდა “ქართული ოცნების” პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ერთსქესიანთა ქორწინებას დააკანონებს. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტ თეონა გეგელიას მხრიდან აპელირება ხდება არა იმაზე, რომ გიორგი მარგველაშვილს მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია, არამედ დეპუტატ ზვიად ძიძიგურის სიტყვებზე, რომ მარგველაშვილისგან განსხვავებით კახა კუკავა ეკლესიური არ არის, რაც დისკრიმინაციულია კახა კუკავასთან მიმართებაში, რადგან ამა თუ იმ პიროვნების ეკლესიურობის ხარისხზე მსჯელობის უფლება არავის აქვს. შესაძლოა, პიროვნება რელიგიური მოტივით არ ეთანხმებოდეს ერთსქესიანთა ქორწინებას, მაგრამ ჟურნალისტის მხრიდან საკითხის ასე დასმა - ვინ უფრო ეკლესიურია, პირი, რომელიც მეორეს მიმართ მგრძნობიარე თემაზე პოლიტიკურ სპეკულაციას მიმართავს, თუ ის, ვის მიმართაც არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ - არასწორია.

როგორც MDF-ის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, პოლიტიკური ოპონენტის მიმართ მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელებას კახა კუკავამ პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე (27 აპრილი, 2013) ნაძალადევის რაიონში მისი უშუალო კონკურენტის, ქართული ოცნების კანდიდატის თამარ კორძაიას შემთხვევაშიც მიმართა, ხოლო სამწუხაროდ, მედიამ უკრიტიკოდ მოახდინა ამ არასწორი ინფორმაციის ტირაჟირება, რითაც ხელი შეუწყო აზრის დამკვიდრებას, თითქოს თამარ კორძაია ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მომხრე იყო (იხ. ბიულეტენი #2). კარგი იქნებოდა, ჟურნალისტებს ოპონირების დროს ეს შემთხვევაც გაეხსენებინათ, რათა მაყურებელს თავად შეეფასებინა მათი რესპონდენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა.

ჟურნალისტები რესპონდენტთან ოპონირებისას მკაფიოდ განმარტავენ, რომ 17 მაისს “გეი” აღლუმი არ ტარდებოდა და კახა კუკავას მხრიდან არასწორი ინფორმაციის გავრცელება ხდება. ამასთანავე ცალსახაა, რომ წამყვანები ძირითადად კუკავას მხრიდან ქართული ოცნების კანდიდატის მიმართ გაკეთებულ განცხადებებზე ოპონირებენ და კითხვებს არ სვამენ რესპონდენტის მიერ ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებით წამოჭრილ ანალოგიურ პრეტენზიებზე (*“ქართული ოცნების” და “ნაციონალური მოძრაობის” დიდი მცდელობის მიუხედავად, თბილისში პირველი გეი აღლუმი ვერ შედგა”).* ამ შემთხვევაში დიანა ტრაპაიძე კახა კუკავას მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის პოზიციაზე უსვამს შეკითხვას და აზუსტებინებს, არის თუ არა ივანიშვილის ოცნება მარგველაშვილის “ოცნების” [ერთსქესიანთა ქორწინებაზე] ანალოგიური და არ აინტერესებს, რა კავშირი აქვს ნაციონალურ მოძრაობას ამ მოვლენებთან, როგორც ამ თემაზე კახა კუკავა და გარკვეული მედია საშუალებები სპეკულირებენ. http://www.myvideo.ge/?video_id=2052359

მაესტრო, სუბიექტური აზრი, 30 მაისი

თუ “ქართული ოცნების” საპრეზიდენტო კანდიდატის შემთხვევაში, წამყვანი თეონა გეგელია ოპონირებას უწევს კახა კუკავას, რომ გიორგი მარგველაშვილი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების ინიციატივით არ გამოსულა, უფლებადამცველ თამარ გურჩიანის შემთხვევაში, წამყვანი უკრიტიკოდ ეთანხმება ფილოსოფოსს ზაზა შათირიშვილის ვარაუდს იმის შესახებ, რომ თამარ გურჩიანი ერთსქესიანთა ქორწინებას უჭერს მხარს.

ერთსქესიანთა ქორწინების მხარდაჭერა ან ოპონირება სრულიად ლეგიტიმური თემაა, თუმცა, ამის შესახებ თავად თამარ გურჩიანმა უნდა განაცხადოს და როგორც გიორგი მარგველაშვილის ან თამარ კორძაიას შემთხვევაშია გაუმართლებელი ამ თემებით სპეკულირება, იგივე მიდგომა ჟურნალისტმა სხვებზეც უნდა გაავრცელოს, რადგან საქმე უბრალოდ არასწორი ინფორმაციის ტირაჟირებასთან გვაქვს.

> ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი: *“დარწმუნებული ვარ, გურჩიანი უფრო მეტსაც ფიქრობს, რომ ქორწინებებიც შეიძლება [ერთსქესიანთა] და ა.შ. მე ასე არ ვფიქრობ.”*
>
> თეონა გეგელია, წამყვანი: *“არც მე”.*

ამავე ინტერვიუში რესპონდენტი ჰომოსექსუალობას კაპიტალიზმის შედეგად და ეგოიზმის მაქსიმალურ გამოხატულებად მიიჩნევს.

http://www.myvideo.ge/?video_id=2054250
http://www.myvideo.ge/?video_id=2054251

მაესტრო, პოლიტმეტრი, 27 მაისი

ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ლევან ვეფხვაძე ახდენს როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ასევე 17 მაისის დაგეგმილი ანტიჰომოფობიური აქციის შინაარსის არასწორ ინტრეპრეტაციას, თი-

გაგრძელება გვ. 8

ასავალ დასავალი

თეა ასათიანი, ჟურნალისტი: *“...თორემ ეს გარყვნილთა ჯოგი ქაშუეთის ეკლესიაში რომ შევარდნილიყო და იქ ტყლარჭ-ვაგრეხა დაეწყო, ვერც სასულერო პირები, ვერც პოლიცია ვერაფერს გახდებოდა და უეჭველად სისხლი დაიღვრებოდა”.*

## სექსუალური უმცირესობები

თქოს ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ეს აქცია ერთსექსიანთა ქორწინების დაკანონებას ისახავდა და კონვენცია ამ ტიპის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ითვალისწინებს.

> ლევან ვეფხვაძე, ქრისტიან-დემოკრატ-ები: *„ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის* **I** *პუნქტს აქვს* **II** *პუნქტიც, რომელიც დასაშვებს ხდის გარკვეული ტიპის შეზღუდვებს გამოხტვის თავისუფლებასთან დაკავშირებით… ჩვენთან ლეგალურად ამ ტიპის შეზღუდვები არ არსებობს და ბუნებრივია, ამ კუთხით, მე ვფიქრობ, თუკი გარკვეული შეზღუდვები, მათ შორის ერთსქესიანთა ქორწინების საკონსტიტუციო აკრძალვა, რომელზეც ჩვენ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ვსაუბრობდით, მე ვფიქრობ, ბევრი პრობლემა 17 მაისამდე და ამ დღესთან დაკავშირებითაც მოხსნილი იქნებოდა.“*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2051329

ასავალ-დასავალი, 27 მაისი- 2 ივნისი

საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე სიძულვილს აღვივებს სექსუალურ უმცირესობათა მიმართ. როგორც რესპონდენტი, ასევე ჟურნალისტი ჰომოსექსუალობას ავადმყოფობად განიხილავენ.

> გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *„ანუ, გამოდის, ეს ავადმყოფობა მართლა „გადამდები" ყოფილა!"*

> პეტრე მამრაძე: *„სააკაშვილის მმართველობის დროს ბევრი სტრუქტურა სამინისტროები, უმაღლესი სასწავლებლები თუ მედია მიზანმიმართულად დაავადეს ჰომოსექსულიზმის ვირუსით!..*
>
> *ჰომოსექსუალები უმძიმესი ავადმყოფები არიან და მათ პოპულარიზაცია კი არა, მკურნალობა სჭირდებათ… ჰომოსექსუალიზმი ჰგავს კიბოს-როგორც კი კიბოს უჯრედები ჯანმრთელ ორგანიზმში შეაღწევენ, თუ მას დროულად არ უმკურნალე, ეს დაავადება მთელ სხეულს მოედება და ბოლოს კლავს! ასევე ჰომოსექსუალიზმის ბაცილა - თუ მან საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა, შემდეგ იმ მთელ საზოგადოებას ასნებოვნებს და ეს საზოგადოების გარდაცვალებით სრულდება!"*

ასავალ-დასავალი, 27 მაისი- 2 ივნისი

ჟურნალისტი გიორგი გიგაური საზოგადოებას მართლმადიდებელ ქართველებად და პედერასტთა მქადაგებლებად ყოფს, ხოლო ისტორიკოსს ლაშა ბაქრაძეს 17 მაისის ძალადობრივი მოვლენების დაგმობის გამო იმ ჯგუფში მოიაზრებს, რომელსაც *„ანტიმართლმადიდებლურ და პროპედარასტულ მოძრაობა „ნაცმოს" მყრალი სურნელი"* ასდის, რის გამოც მას ღირსებისშემლახავი სიტყვებით მოიხსენიებს.

> გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *„17 მაისს რუსთაველის გამზირზე მართლმადიდებელ ქართველებსა და პედარასტიის მქადაგებელთა შორის მომხდარმა დაპირისპირებამ კიდევ ერთხელ ამოატივტივა ვინმე ლაშა ბაქრძის ფუყე პერსონა! დიახ, ლაშა აკაკის ძე ბაქარაძის იმ მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად გამოგვეცხადა, რომელსაც სრულიად თამამად შეიძლება, ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური და ანტისაეკლესიო ფრონტი ვუწოდოთ!"*

ასავალ-დასავალი, 27 მაისი- 2 ივნისი

„ასავალ-დასავალში", სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, კვლავ ადგილი აქვს ორგანიზაცია „პატრიოტების" ლიდერის გიორგი მაზმანიანის მარგინალიზების მცდელობას, რომელსაც ქალის მეტსახელით და ქათმად მოიხსენიებენ.

> გოგა ხაინდრავა, რეჟისორი: *„ნაცმოძრაობას" პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი დარჩა - ქათმების ბრიგადირი „ანჟელა" მაზმანიანი!.."*
> http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/971/971.pdf

კვირის ქრონიკა, 27 მაისი- 2ივნისი

ჟურნალისტი ნინო სამხარაძე თავის პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავს 17 მაისის ანტიჰომოფობიის აქციასთან მიმართებით ეკლესიის ქმედებების გამო, რასაც ძალადობრივი გამოხატულება მოჰყვა და ინტერესდება, რატომ არ იყო „ასეთი ერთსულოვანი პროტესტი" ეკლესიის მხრიდან გასულ წლებში პოლიტიკურ მოვლებთან მიმართებით. ინტერვიუში სასულიერო პირის მხრიდან ადგილი აქვს ჰომოფობიურ განცხადებებს.

> ნინო სამხარაძე, ჟურნალისტი: *„ქართულმა ეკლესიამ აჩვენა ძლიერება, ქრისტიანული ტრადიციების დაცვა, თუმცა - ძალიან ბევრმა იკითხა, სად იყავით მაშინ, როცა სააკაშვილის რეჟიმი აყენებდა სისხლის გუბეებს,*

ბიულეტენი №8



პეტრე მამრაძე: *„ჰომოსექსუალიზმი ჰგავს კიბოს - როგორც კი კიბოს უჯრედები ჯანმრთელ ორგანიზმში შეაღწევენ, თუ მას დროულად არ უმკურნალე, ეს დაავადება მთელ სხეულს მოედება და ბოლოს კლავს! "*

## სექსუალური უმცირესობები

კლავდა ადამიანებს... რატომ არ იყო ასეთი ერთსულოვანი პროტესტი ეკლესიის მხრიდან?

მამა ელიზბარი დიაკონიძე: *"ესპანეთში ხარს რომ წითელს აუფრიალებენ, ხარი ტორეადორს გლეჯს. თუმცა მას მოხერხებულობა და საზრიანობა არ ჰყოფნის. უკაცრავად თქვენთან და მამაკაცი რომ სამღვდელოებას დუნდულებს აგვითამაშებს... როცა ჩვენ ვქადაგებთ, რომ შენ უნდა იყო მამრი, შენ უნდა იყო მდედრი... ამ დროს მომიტრიალდება უკანალის ქიცინით მამაკაცი და მეუბნება, რომ მამაკაცთან წვება. გეკითხები, ეს როგორ უნდა ავიტანო? ერთსქესიანთა ქორწინება გვინდა ჩვენ?"*

ინტერვიუში ასევე აღნიშნულია, რომ რედაქცია მეუფე იობის კურთხევის ქვეშაა.



მალხაზ გულაშვილი, სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა: *"მე მოვუწოდებ სახელმწიფო ორგანოებს, რომ ის პროვოკაციული ქმედებები, რომლებსაც ესა თუ ის ადამიანები აწყობენ შეგნებულად, შეუზღუდონ მათ თავშეყრის ადგილი... ესე ხელწამოკვრით ამ ლგბტ-ს ნუ ეხუმრებით... ეს არის უხილავი ანტიქრისტეს არმია."*

კვირის პალიტრა, 27 მაისი-2 ივნისი

"ასავალ-დასავალის", "ალიას" და "კვირის ქრონიკისგან" განსხვავებით, გაზეთ "კვირის პალიტრის" ჟურნალისტის მერაბ მეტრეველის საავტორო სტატია, სადაც 17 მაისის მოვლენებზეა საუბარი, არ ამართლებს ძალადობას და განსხვავებული მოსაზრებების მშვიდობიანი ფორმით გამოხატვის მნიშვნელობაზე საუბრობს. თუმცა, სტატიაში მოყვანილი პასაჟი - *"ვინმე გეუბნებათ, არ გააპროტესტოთ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაო?"* - სრულიად გაუგებარ ცნებას "ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას" ამკვიდრებს, რომლის შინაარსის დაკონკრეტებას ჟურნალისტები არ ცდილობენ.

იმედი, ღია ეთერი, 31 მაისი

დეკანოზი თეოდორე: *"დამნაშავე არიან ისინი, ვინც ამ ყველაფრის ორგანიზებას აკეთებდა. მათ ძალიან კარგად იცოდნენ რომ... უზნეობის პროპაგანდა როცა იქნებოდა, თავისთავად ცხადია, ამას აგრესია მოჰყვებოდა... თავისუფლებაა, ვინ ვის რამეს უშლის, მაგრამ გამოხატვა აშკარა უზნეობისა, რომელიც შეურაცხყოფს უმრავლესობის გრძნობებს, ეს მე მგონი არ უნდა ხდებოდეს."* http://www.myvideo.ge/?video_id=2057225; http://www.myvideo.ge/?

## საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება

მედია კავშირი ობიექტივი მუდმივად არღვევს მაუწყებელთა კოდექსის მე-18 (4) მუხლს, რომლის თანახმად, *"პირდაპირ ეთერში შემოსული ზარები უნდა იქნეს შერჩეული სამართლიანობის პრინციპის დაცვით და დაუშვებელია მხოლოდ ერთი შეხედულების გამოხატვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ ზარებით საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება."*

ღამის სტუდიაში ძირითადად არა მხოლოდ მსმენელთა ერთგვაროვანი ზარები გადის, არამედ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები სრულ თანხვედრაშია როგორც რესპონდენტთა, ასევე წამყვანთა პოზიციებთან, რემლებიც ძირითადად დისკრიმინაციულია უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ. ამით კი "ობიექტივი" მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-18 (3) მუხლს არღვევს, რომლის თანახმად, *"პროგრამაში მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარის მოწვევა აქტუალურ საკითხზე კონკრეტული პოზიციის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, არ შეიძლება გამოყენებული იქნას იმ ჯგუფებზე თავდასხმის საშუალებად, რომლებიც არ მონაწილეობენ პროგრამაში."*

დარღვეულია ასევე მე-17 (2) მუხლი, რომლის თანახმად, *"საავტორო პროგრამის წამყვანმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი მდგომარეობა საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისათვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა"*.

ქვემოთ მოყვანილია აღნიშნული მუხლების დარღვევის ცალკეული მაგალითები. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გასული კვირის განმავლობაში რესპონდენტთა და მსმენელთა მხრიდან დისკრიმინაცია ძირითადად სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებით, 17 მაისის მოვლენების კონტექსტში იყო გამოთქმული.

ობიექტივი, 27 მაისი

მალხაზ გულაშვილი, სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა: *"მე არავის ვუკრძალავ, თავისი უმსგავსო საქციელი განახორციელოს სადაც უნდა, მაგრამ ამის რეკლამირებას და აფიშირებას ნუ მოახდენს... მე მოვუწოდებ სახელმწიფო ორგანოებს, რომ ის პროვოკაციული ქმე-*

გაგრძელება გვ.10

## საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება

*დებები, რომლებსაც ესა თუ ის ადამიანები აწყობენ შეგნებულად, შეუზღუდონ მათ თავშეყრის ადგილი... ესე ხელწამოკვრით ამ ლგბტ-ს ნუ ეხუმრებით... ეს არის უხილავი ანტიქრისტეს არმია.“*

ილია ჩაჩიბაია, წამყვანი: *“...მაინცდამაინც სასურველი და კარგი არ არის ის, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი მაინცდამაინც სასულიერო პირების დაკავებით ან მათთვის ბრალის წაყენებით დაიწყოს.”*

მაყურებელი: *“ჩვენი ერეტიზაცია გამოდის იმასთან დაკავშირებით, რომ რაც შეიძლება ამიერკავკასიაში თავმოჭრილი, “წარმატებული” ლგბტ-იშნიკი გავხდეთ და მერე ამითი ველაპარაკოთ აფხაზეთს და ოსეთს შერიგებაზე და რუსეთს კიდევ ტერიტორიების დათმობაზე? ეს ხომ სრული აბსურდი იქნება. მაშინ, როდესაც რუსეთის ხელმძღვანელმა 2012 წლამდე 100 წლით გადადო ეს პრობლემა და თქვა არ მაინტერესებსო. აი, კაცური დაიჭირა.”*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12131

ობიექტივი, 28 მაისი

სოსო მანჯავიძე, პატრიოტთა ალიანსი: *“კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ამის [ჰომოსექსუალობის] გავრცელების. მით უმეტეს, დადებითად აღწერის, რასაც მიზანმიმართულად გვაიძულებენ ჩვენ დასავლეთიდან...*

*სეკულარულ სახელმწიფოში... სახელმწიფო სამართლის დრეიფი მიდის იქამდე... როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ძალადობაზე რეაგირებს ეს სამართალი და მას ზნეობრივი იმპერატივები აღარ ახასიათებს. აი, ეს დრეიფი მიდის ბოლოსდაბოლოს რატომღაც მაინცდამაინც ერთსქესიან ქორწინებამდე. და მიდის კიდევ უფრო გაუკუღმართებულ ფორმებამდე, დავუშვათ, როგორიც არის პედოფილია, როგორიც არის ზოოფილია.“*

ნინო რატიშვილი, წამყვანი: *“მადლობა სამღვდელოებას და პოლიციას, რომ მართლაც საშინელება არ მოხდა 17-ში.*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12147

ობიექტივი, 29 მაისი

ვაჟა ბერიძე, პოლიტოლოგი: *“ქართველი ხალხის რეაქცია იყო აბსოლუტურად გონივრული, ლოგიკური... ბუნებრივია, ქართული საზოგადოება... მოჭარბებულ დემონსტრირებას ამ, ასე ვთქვათ, უხამსობის ქუჩაში, ვთქვათ, როგორიც არის აღლუმი ამ სახის არ მიიღებს”.*

ზონდო მძინარაშვილი, წამყვანი: *“არა მხოლოდ ქართული, ჩრდილოელები.“*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12161

ობიექტივი, 1 ივნისი

მანუჩარ მაჩაიძე, პატრიოტთა ალიანსი: *“ნაციონალური მოძრაობის 9 წლიანმა მმართველობამ ჩვენ დაგვანახა, რომ აი, ამ 9 წლის განმავლობაში ჩვენდა სამწუხაროდ, ხდებოდა სექსუალური უმცირესობების მხრიდან სექსუალურ უმრავლესობაზე ძალადობა...*

*მივაღებინებდი კანონს, რომ ისეთ ორგანიზაციებში, სადაც მამაკუცური ორგანიზაციაებია [გენდერული დისკრიმინაცია], აი, ციხეები ავიღოთ ან ჯარი, აქ უნდა მოხდეს ძალინ გამოკვლევით შესწავლა პიროვნებების, რომლებიც იმუშავებენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ამ დაწესებულებებში და ასეთ დაწესებულებებში არ უნდა მოხვდნენ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები... როდესაც ციხეში ხარ, პატიმრები არიან და ციხის უფროსია მამათმავალი, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელსაც შეუძლია თავისი თანამდებობა ბოროტად გამოიყენოს, რასაც ადგილი ჰქონდა 9 წლის განმავლობაში ციხეებში და თუნდაც არმიაში არა?! ეს არასწორია, ეს არის უკვე სექსუალური უმრავლესობის უფლებების დარღვევა”...*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12207

ბიულეტენი №8



მანუჩარ მაჩაიძე, პატრიოტთა ალიანსი: *“ნაციონალური მოძრაობის 9 წლიანმა მმართველობამ ჩვენ დაგვანახა, რომ აი, ამ 9 წლის განმავლობაში ჩვენდა სამწუხაროდ, ხდებოდა სექსუალური უმცირესობების მხრიდან სექსუალურ უმრავლესობაზე ძალადობა”...*

## ანტიდასავლური განწყობები

მე-9 არხი, მთავარი კითხვა, 27 მაისი

რეჟისორი გოგა ხაინდრავა არასწორ პარალელს ავლებს თბილისში 17 მაისს განვითარებულ მოვლენებსა და პარიზში ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციას შორის, რომლებიც როგორც შინაარსით, ასევე ფორმითაც (ძალადობრივი ერთ შემთხვევაში, მშვიდობიანი - მეორეში) განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გარდა ("მამათმავლობა") რესპონდენტი ჰომოსექსუალობაზე, როგორც დასავლეთიდან შემოსულ საფრთხეზე საუბრობს.

> გოგა ხაინდრავა, რეჟისორი: *"განსაკუთრებით ახლა ძალიან სერიოზული საფრთხე გვემუქრება იმიტომ, რომ ამ მამათმავლობის შემოპარვა და შემოპარება ხდება საქართველოში, რომლის ლეგალიზაციისთვის ძალიან დიდი ბრძოლა მიდის დასავლეთიდან... თუ ნახავთ პარიზში მილიონიანი დემონსტრაცია იყო და დიდი ბრძოლა მიდის მთელს ასე ვთქვათ, ცივილიზებულ სამყაროში, საქრისტიანოში, გინდა კათოლიკურში, გინდა მართლმადიდებლურში, რომ ეს სოდომის ცოდვა არ გაბატონდეს."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2051537

ალია, 29 მაისი

განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი არასწორ ინფორმაციას ავრცელებს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრირებისთვის წაყენებული წინაპირობების შესახებ, თითქოს ეს პროცესი სკოლებში 12 წლიან სწავლებასა და ერთსქესიანთა ქორწინებასთან იყოს დაკავშირებული, რასაც უკრიტიკოდ ტირაჟირებს ჟურნალისტი და რედაქცია.

> მანანა ნიკოლაიშვილი: *„ხელისუფლებამ განსაზღვრა კურსი, რომ გვინდა ერთადერთი ევროსტრუქტურაში ყოფნა. ამიტომ ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში რომ დაგვიშვან, უნდა იყოს 12-წლიანი სწავლება და ერთსქესიანთა ქორწინება."*

ასავალ-დასავალი, 27 მაისი- 2 ივნისი

სახალხო კრების წარმომადგენელი ელიზბარ ჯაველიძე კი ჰომოფობიურთან ერთად ანტიდასავლურ განცხადებებს აკეთებს:

> ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება: *"მსოფლიო პედარასტების მქადაგებლები კი გვიმტკიცებენ, რომ ადამიანები ღვთის ხატად ქცევისკენ კი არა მაიმუნად და ცხოველად გარდაქმნისკენ უნდა ისწრაფვოდნენ...*
>
> *როგორც მითხრეს, ლგბტ აქცია 17 მაისს სომხეთშიც ჩატარებულა და სომხებს კარგა მაგრად უთეთქვიათ პედერასტები!..*
>
> *ვინ მიგდია ამერიკის ან ჰოლანდიის ელჩი, რომ ჩვენი ტრადიცული ქართული ზნეობისა და სულიერების დაცვისთვის გაგვაკრიტიკოს და ჭკუა გვასწავლოს...*
>
> *ისე, თუ აქამდე გვიმტკიცებდნენ, საქართველოს ნატოში შესვლა ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღვრილ სისხლზე გადისო, ახლა, ჩვენი ნატოში გაწევრიანება ქართველი პედარასტების უკანალის პატივისცემაზე ყოფილა დამოკიდებული!"*

ასავალ-დასავალი, 27 მაისი- 2 ივნისი

გიორგი გიგაურის სტატია "არა ასოკრატიას", რაც ჟურნალისტის განმარტებით არასამთავრობო ორგანიზაციების აბრევიატურაა და სრულებითაც არ გულსიხმობს სასქესო ორგანოს ("ასო"), თუმცა პუბლიკაციას, სწორედ ასეთი კონოტაცია აქვს, ისევე როგორც ფილოსოფოს გია ნოდიას "ფალოსოფოსად" მოხსენიება. სტატია მოლიბერასტო არსებებს უწოდებს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, საპროტესტო აქციის - "არა თეოკრატიის" გამო. ჟურნალისტი, რომელიც მართლმადიდებლობის გრანტებზე გამყიდველებად მოიხსენიებს არასამთავრობოებს, აღვივებს სიძულვილს ამერიკის მიმართ, რომლის საერთაშორისო სამშვიდობო მისიები ბავშვების წინააღმდეგ სისხლისღვრად არის წარმოჩენილი.

გაგრძელება გვ.12

ასავალ დასავალი

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *"და რა უფლება აქვთ, სიძულვილის ენაზე და ჰომოფობიაზე მელაპარაკონ მაჯლაჯუნები, რომლებიც წლებია, იმათ ძღვენს მიირთმევენ, ვინც ათობით ათასი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ათასობით ბავშვი მოკლა ერაყსა თუ ავღანეთში?!"*

მედიის განვითარების ფონდი

ალ.ჭავჭავაძის №54,
მე-5 სად. მე-4 სართული.
ქ.თბილისი, საქართველო,
0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 2 22 00 16

ელ.ფოსტა: info@mdfgeorgia.ge
mdfgeo@gmail.com

WWW.MDFGEORGIA.GE

## მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

*დასაწყისი გვ. 1*

ირესობათა მიმართ (პეტრე მამრაძე, "ასავალ-დასავალი");

- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია როგორც ზოგადად პოლიტიკასთან მიმართებაში იყო გამოხატული, ასევე კონკრეტულ ინდივიდებთან მიმართებაში (სახალხო დამცველისა და მისი მეუღლის რელიგიური მრწამსის განხილვა, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსზე დისკრიმინაციული მსჯელობა);

- სექსუალური უმცირესობების თემის გაშუქებისას, ხდებოდა დაუსაბუთებელი ფაქტების ტირაჟირება ცალკეულ პირთა მიმართ. აღსანიშნავია, რომ როდესაც ამ კონტექსტში არასწორი ფაქტების გავრცელება "ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატს შეეხო, ჟურნალისტები (მაესტრო, სუბიექტური აზრი) კრიტიკულად მიუდგნენ რესპონდენტს, ხოლო სხვა პოლიტიკოსთა თუ უფლებადამცველის მიმართ გამოთქმულ არასწორ ინფორმაციაზე მათ (მაესტრო, სუბიექტური აზრი) ანალოგიური კრიტიკულობა არ გამოუვლენიათ. უკრიტიკოდ და ფაქტების გადამოწმების გარეშე სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებაში გაკეთებული ცნობების ტირაჟირებას სხვა მედია საშუალებებიც (გაზეთები: "ალია", "ასავალ-დასავალი") ახდენდნენ);

- ადგილი ჰქონდა როგორც ჰომოსექსუალობის ავადმყოფობად წარმოჩენას (პეტრე მამრაძე, გაზეთი "ასავალ-დასავალი"), ასევე ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას;

- მედია-კავშირ "ობიექტივის" მხრიდან საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება ხდებოდა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17 (2) და მე-18 (3,4) მუხლების დარღვევა გამოიკვეთა.

## ანდტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 12

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *"და რა უფლება აქვთ, სიძულვილის ენაზე და ჰომოფობიაზე მელაპარაკონ მაჯლაჯუნები, რომლებიც წლებია, იმათ ძღვენს მიირთმევენ, ვინც ათობით ათასი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ათასობით ბავშვი მოკლა ერაყსა თუ ავღანეთში?!"*

### კვირის პალიტრა, 27 მაისი- 2 ივნისი

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი: *"პუტინმა მშვენივრად იცის, რასაც აკეთებს და რასაც წარმოადგენს დღევანდელ ევროპა. რისი იმედი უნდა გქვონდეს, აგერ საფრანგეთში ორი ,,მშვენიერი ვაჟკაცი'' ქორწინდება ერთმენეთზე, ,,ვაჟკაცი'' რომ ვამბობ, ენა არ მიტრიალდება, ასეთი ევროპის იმედი უნდა გვქონდეს?"*

### ასავალ-დასავალი, 27 მაისი- 2 ივნისი

სალომე გოგიაშვილი, ტელეწამყვანი: *"თუ დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ გარშემო ბევრი პედარასტი უნდა გვყავდეს, კაცმა ქალი აღარ მოისუროს, უნდა გადავეჩიმდეთ და მამაკაცებმა კაბით იარონ, ასეთი დემოკრატია არ მინდა."*

### ასავალ-დასავალი, 27 მაისი- 2 ივნისი

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *"ან გაპედერასტებით, ანდა - ნატოს-ს დაემშვიდობეთო!..*

*თუ ჩვენი დემოკრატიულობა მხოლოდ იმით განისაზღვრება, საქართველოში რამდენ გეი-პარადი ჩატარდება და რამდენი პედერსატი გათხოვდება თავისი "ოცნების მამაკაცზე", მაშინ ქართველები ხმამაღლა იტყვიან, რომ არ უნდოათ ასეთი დემოკრატია!"*